

ხედვა, მისია, ღირებულებები

თბილისი



გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია
აკადემიური საბჭოს დადგენილება
(ოქმი N4. 27.03.2019)

მისია, ხედვა, ღირებულებები

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს მომავლის ხედვა, მისია, და ღირებულებათა სისტემა.

ჩვენი ხედვაა

გავხდეთ მაღალი რეპუტაციის, მოთხოვნადი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, რომლის თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის მთავარი მახასიათებელი იქნება მაღალი ხარისხი;
ჩვენი ყოველდღიური მოღვაწეობით, პოზიციებითა და გადაწყვეტილებებით მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ საზოგადოების განვითარებაში.

ჩვენი მისიაა



კერძო უმაღლესი სასწავლებელი, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, უზრუნველყოფთ სტუდენტს თანამედროვე მეცნიერულ, პედაგოგიურ, ტექნოლოგიურ მიღწევებზე და პრაქტიკაზე დაფუძნებული განათლებით სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების, სოციალური მეცნიერებებისა და ტურიზმის დარგებში; ვავითარებთ სტუდენტზე ორიენტირებულ, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ, ეთიკურ და პროგრესულ საუნივერსიტეტო გარემოს, რომელშიც ყველა შეძლებს საკუთარი აკადემიური, სამეცნიერო, შემოქმედებითი, ლიდერული თუ მოქალაქეობრივი პოტენციალის რეალიზებას.

ვამდიერებთ და ვადრმავებთ საერთაშორისო თანამშრომლობას, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტის წარმატებასა და კონკურენტუნარიანობაზე, პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

ვახდენთ სასწავლო, სამეცნიერო, ადამიანური და მატერიალური რესურსების გადანაწილებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნებისათვის.

გთუნი მოწოდებულია მუდმივად გაანალიზოს და საჭიროების შემთხვევაში განაახლოს მისია, რათა უზრუნველყოს სასწავლო დაწესებულების შესაბამისობა სახელმწიფოს, საზოგადოების, შრომის ბაზრის ცვლად მოთხოვნებთან და თანამედროვე გამოწვევებთან.

გთუნის მისია მხარდაჭერილია უნივერსიტეტში აღიარებული ღირებულებებით, რაც მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს.

ჩვენი ღირებულებებია:

ეროვნული ინტერესების დაცვა;
ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა და ფასეულობების პატივისცემა;
კანონის და დემოკრატიული პრინციპების უზენაესობის დაცვა;
სამართლიანობა, დამოუკიდებლობა, კეთილსინდისიერება;
კოლეგიალობა, გამჭვირვალობა, გუნდური მუშაობა;
პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება;
აკადემიური თავისუფლება და პატიოსნება;
ხარისხის კულტურის დამკვიდრება, სრულყოფა და მუდმივი განვითარება.